ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

დადგენილება:**დ-97.97220281**
თარიღი:**28/01/2022**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ‘’ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის ,,,ნორმატიული აქტების შესახებ’’ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ’’ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1. დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი დანართი 1-ის მიხედვით.

მუხლი2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26-თებერვლის N- 4 დადგენილება.

მუხლის 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 01-იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დანართი 1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი:

მუხლი 1. პროგრამის სფერო და მიზანი

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა განსაზღვრავს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების ოდენობასა და გაცემის წესს.

2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის მიზანია ეკონომიურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სოციალური დაცვა. მძიმე სენით დაავადებულთა, მრავალშვილიანი ოჯახების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მარტოხელა მშობლის, ვეტერანთა, ხანდაზმულთა ფინანსური დახმარება.

მუხლი 2. ბენეფიციარის (დახმარების მიმღების) მიერ სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი (დახმარების მიმღები) წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს.

2. მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მთხოვნელთა განცხადების რეგისტრაციას.

3. მუნიციპალიტეტში შემოსულ განცხადებებს ამოწმებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (შემდგომში სამსახური) თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში მიმართავს განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად.

მუხლი 3. სოციალური დახმარების ქვეპოგრამები

სოციალური დახმარების ქვეპროგრამებია:

ა) სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსება;

ბ) ხანდაზმულთა ფინანსური დახმარება ;

გ) სტიქიური მოვლენების (ხანძრის) შედეგად დაზარალებულთა დახმარება;

დ) ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარებები;

ე) სარიტუალო მომსახურეობა;

ვ) ერთჯერადი სოციალური ფინანსური დახმარება;

ზ) მარტოხელა დედების/მამების ფინანსური დახმარება;

თ) დაბადებიდან შ.შ.მ. პირებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარება;

ი) მრავალშვილიანი ოჯახების (4 და მეტი შვილი) ფინანსური დახმარება;

კ) დიალიზზე დამოკიდებულ ბენეფიციართა დახმარება;

ლ) უსახლკარო (ეკომიგრანტთა) ბენეფიციართა ბინის ქირით უზრუნველყოფა;

მ) მიესთენია გრავისით დაავადებულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება;

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსება

1. სხვადასხვა სახის მძიმე ოპერაციების (ონკოლოგიური, ტრავმატოლოგიური, კარდიო-ქირურგიული, ნეიროქირურგიული, უროლოგიური, მუცლის ღრუს) თანადაფინანსება, რომლებიც არ ფინანსდება ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია (300 ლარზე მეტი) სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე ბენეფიციართათვის, მათი მხრიდან გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.

2. სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევების თანადაფინანსება, რომლებიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია (400 ლარზე მეტი) პირის გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა.

3. თუ ბენეფიციარის დახმარების მიღების უფლება წარმოიშვა ამ დებულებით განსაზღვრული მუხლი - 4-ის პირველი და მეორე პუნქტებით, ფულადი დახმარება გაიცემა იმ პუნქტით, რომელიც თანხობრივად მეტია.

4. დახმარების მიმღებმა (ბენეფიციარმა) ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ -ფორმა #100/ა , გაცემიდან 3 თვის განმავლობაში;

დ) ანგარიშფაქტურა სამკურნალო დაწესებულებიდან ჩატარებული მკურნალობის შესახებ, ქვითარი წარმოდგენილი უნდა იყოს სტაციონარიდან გამოწერის შემდეგ არაუმეტეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ვ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მუხლი 5. შშმპ პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაავადებული არიან:

ა) ეპილეფსიით;

ბ) პარკინსონით;

გ) თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებული პაციენტი, მძიმე ფორმის იშემიური და ჰემორაგიული ინსულტი;

დ) შაქრიანი დიაბეტით - ტიპი 1, მძიმე მიმდინარეობით გართულებები მხედველობის, გულის, თირკმლის, ტვინის სისხლძარღვების ანგიოპათიით;

ე) ღვიძლის ციროზი, ასციტი;

ვ) ონკოლოგიური დაავადებები მე-3, მე-4 კლინიკური ჯგუფი. ქიმიო თერაპიის და სხივური თერაპიის პერიოდი (ფორმა 100 ონკო-ცენტრიდან შევსებული ონკოლოგის მიერ);

ზ) ცერებრალური დამბლა და პარალიზებული სინდრომებით დაავადებული პაციენტები;

თ) გულის იშემიური დაავადებები (გულის უკმარისობა მე-2, მე-3 ხარისხი);

ი) სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები. სუნთქვის უკმარისობა მე-2 ხარისხით;

კ) თირკმლის დაავადებები მძიმე მიმდინარეობით, თირკმლის ქრონიკული უკმარისობით მე-3, მე-4 სტადია;

ლ) უსინათლო ინვალიდები;

მ) შიზოფრენია;

6. ოჯახს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, მაგრამ არაუმეტეს 100-დან 200 ლარამდე, აღნიშნულ დაავადებათა შემთხვევაში თუ სამედიცინო ფორმა 100/ა შევსებულია სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში.

7. დახმარების მიმღებმა (ბენეფიციარმა) ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დიაგნოსტიკური კვლევის დოკუმენტაცია და მის საფუძველზე შექმნილი ფორმა 100/ა, გაცემიდან 6 თვის ვადაში.

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. ხანდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემა ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყველა ხანდაზმულ მოქალაქეს, რომელთა ასაკი განისაზღვრება 90 წელს ზევით.

2. დახმარების თანხა განისაზღვრება 90-95 წლამდე 100 (ასი) ლარის ოდენობით, 95 დან 100 წლამდე 150 (ასორმოცდაათი) ლარი და 100 წელს ზევით 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაციაა:

ა) ხანდაზმულის ან მისი ოჯახის წევრის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ხანდაზმულის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

მუხლი 7. სტიქიური მოვლენების (ხანძრის) შედეგად დაზარალებულთა დახმარება

1. ფინანსური დახმარება გაეწევა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, რომლებსაც ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი სახლი.

2. ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს გაეწევა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო ოჯახს რომლის საცხოვრებელ სახლსაც ხანძარმა არსებითი ზიანი მიაყენა - 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

3. დაზარალებულმა ოჯახის წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) აქტი სახანძრო-სამაშველო დაწესებულებიდან სახლის დაზიანების ხარისხის შესახებ;

დ) საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) განმცხადებლის საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები.

მუხლი 8. ომის ვეტერანთა დახმარებები

1. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარება მიეცემა საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 300 (სამასს) ლარს.

2. დახმარების მიმღებმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განაცხადი მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის ასლი;

გ) საქართველოს სამხედრო ძალებისა და ომის ვეტერანის მოწმობის ასლი;

დ) დოკუმენტი (დოკუმენტები), რომლებიც დაადასტურებს გარდაცვლილთან ნათესაურ (მეუღლე, მშობელი, შვილი) კავშირს;

ე) გარდაცვალების მოწმობა;

ვ) საბანკო რეკვიზიტები;

ზ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

მუხლი 9. სარიტუალო მომსახურეობა

1. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება :

ა) მუნიციპალიტეტში დროებით რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურეობა 200 (ორასი) ლარის ოდენობით;

ბ) მარტოხელა ბენეფიციართა (კანონიერი მემკვიდრე არ გააჩნიათ) სარიტუალო მომსახურეობა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2.მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე (ბენეფიციარის გარდაცვალებიდან ერთი თვის ვადაში);

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი;

ე) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ინფორმაცია გარდაცვლილის უპატრონობის და განმცხადებლის მიერ გარდაცვლილი მოქალაქის დასაკრძალად გაწეულ ხარჯების თაობაზე;

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

მუხლი 10. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება

1.მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ოჯახს, რომელიც ამ წესში მოყვანილ არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება (არ აქვს არანაირი შემოსავალი: პენსია, სოციალური დახმარება და ხელფასი) და დახმარების მომენტში სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდის უკიდურეს გასაჭირს, დახმარების საკითხი განიხილება ამ წესის შესაბამისად.

2. დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს :

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;

ე) მერის წარმომადგენლის და მაჟორიტარი დეპუტატის მოხსენებითი ბარათი ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ;

ვ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

მუხლი 11. მარტოხელა დედების/მამების დახმარება.

1. ფინანსური დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ დედას/მამას, რომლის შვილი რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (18 წლამდე ასაკის), ერთჯერადად 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2.დახმარების მიმღებმა განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შვილის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი;

ვ) ცნობა სოციალური სუბსიდიების მომსახურების სააგენტოდან ბავშვის/ბავშვების მეურვის ვინაობის შესახებ ან განქორწინების მოწმობა.

მუხლი 12. დაბადებიდან შ.შ.მ. პირებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარება

1.ამ მუხლით გათვალისწინებული ყოველთვიური დახმარება მიეცემათ ბავშვობიდან შ.შ.მ. პირს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და დაავადებული არიან:

ა) ცერებრალური დაბლა;

ბ) დაუნის სინდრომი;

გ) ლეიკემია;

დ) ყრუ-მუნჯი;

ე) ცელიაკია.

დახმარება გაიცემა ყოველთვიურად 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით იმ ბენეფიციარზე, რომელიიც ვერ გადაადგილდება და სარგებლობს ეტლით, ხოლო დანარჩენ ბენეფიცარებზე დახმარება გაიცემა 60 (სამოცი) ლარის ოდენობით;

2 .დახმარების მიმღებმა პირმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განაცხადი მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ბენეფიციარის პირადობის ასლი ან დაბადების მოწმობის ასლი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ამონაწერი სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან);

დ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

მუხლი 13. მრავალშვილიანების ფინანსური დახმარება

1.მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:

ა) მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 შვილი (18 წლამდე) - 200 (ორასი) ლარი ერთჯერადად; 5 შვილი და ზევით ყოველთვიურად ბავშვზე 15 (თხუთმეტი) ლარი;

2. დახმარების მიმღებმა პირმა - მშობელმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) მშობლების დაბადების მოწმობის ასლები;

გ) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;

დ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

მუხლი 14. დიალიზზე დამოკიდებულ ბენეფიციართა დახმარება

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები, დიალიზზე დამოკიდებული პაციენტი ფინანსდება ყოველთვიურად და დახმარების მოცულობა განისაზღვრება

თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით, ტრანსპორტის ხარჯებისათვის იმ ქალაქში, სადაც სარგებლობს სახელმწიფო დაფინანსების პროგრამით ,,დიალიზი და თირკმლის ტრანსლაცია“.

2. პროგრამაში ჩართვის მსურველებმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა 100/ა იმ სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც უტარდება დიალიზი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მუხლი 15. მიესთენია გრავისით დაავადებულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები, მიესთენია გრავისით დაავადებული პაციენტი ფინანსდება ყოველთვიურად და დახმარების მოცულობა განისაზღვრება თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2.პროგრამაში ჩართვის მსურველებმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა 100/ა იმ სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც უტარდება მკურნალობა;

გ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 16. უსახლკარო (ეკომიგრანტთა) ბენეფიციართა ბინის ქირით უზრუნველყოფა

1. თანხა გაიცემა იმ უსახლკარო ოჯახებზე, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი სხვადასხვა მიზეზის გამო (სტიქია, მეწყერი, ხანძარი და ა.შ) ამ ბენეფიციარისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გაიცემა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინის ქირის ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა.

2. უსახლკარო ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ქირავნობის ხელშეკრულების ასლი;

დ) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ინფორმაცია ბენეფიციარის საცხოვრებელი პირობების (უსახლკარობის) შესახებ;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 17. კომისია

1. შემოსულ განცხადებებს განიხილავს სოციალური დახმარების გამცემი კომისია, რომელსაც ქმნის და მის თავმჯდომარესა და მდივანს ნიშნავს მუნიციპალიტეტის მერი.

2. კომისია შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 7 წევრისაგან. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საერთო შემადგენლობის 1/3-ისა. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

3. კომისია იკრიბება თვეში რამდენჯერმე არსებული შემთხვევის გათვალისწინებით.

4. მრავალშვილიანი ოჯახების, ხანდაზმულების და ბავშვობიდან ინვალიდების ფინანსური დახმარება გაიცემა სოც. კომისიის დასკვნის გარეშე შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე.

5.კომისია იკრიბება თვეში ერთხელ და ამზადებს დასკვნებს.

მუხლი 18. კომისიის სხდომის ოქმი

1. კომისიის ყოველი სხდომის შემდეგ დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

2. კომისიის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება, დასკვნის სახით აისახება ოქმში. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში კომისიის წევრის აზრი წერილობით დაერთვება დასკვნას.

3. კომისიის ოქმის სათანადო წესით გაფორმებას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

მუხლი 19. სოციალური დახმარების გაცემის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

2. გადაუდებელ შემთხვევაში , როდესაც აუცილებელი წინამდებარე წესის ბენეფიციართა სასწრაფო სამედიცინო და სასწრაფო სტაციონალური სამედიცინო მომსახურების დაფინანსების დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს სოციალური კომისიის ოქმის გარეშე - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით)

მუხლი 20. დახმარების გაცემის წესი

1. მერის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა, მისამართი და თანხა, იგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში. ***2.*** თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 21. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას, რის საფუძველზე შეაქვს შესაბამისი შესწორებები (დახმარების დანიშვნა, გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა) ბენეფიციართა საქმეში. ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა და ა.შ.

2. ინფორმაცია დახმარების ახალი დანიშვნის ან შეწყვეტის შესახებ, დასკვნის სახით, სამსახურის უფროსის მიერ ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს ხელმოსაწერად კონტიგენტის მონაცვლეობის სიებთან ერთად.

3. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი